# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №85

## 2014 წლის 16 იანვარი

## ქ. თბილისი

## ზოგიერთი სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების შესახებ

**მუხლი 1**

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ტექნიკურ რეგლამენტს მიკუთვნებულ წესებად/ნორმებად/დებულებებად განისაზღვროს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შემდეგი ბრძანებები/მათი დებულებები, შინაარსის თავისებურებათა გათვალისწინებით:

1. ,,საწარმოო ტრანსფუზიოლოგიის დაწესებულებებისადმი წაყენებული სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2001 წლის 16 აგვისტოს №299/ნ ბრძანება;**
2. ,,გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2001 წლის 16 აგვისტოს №297/ნ ბრძანება;**
3. ,,ქვეყანაში სამედიცინო და პროფილაქტიკური სადეზინფექციო საქმიანობის სრულყოფის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2002 წლის 19 მარტის №64/ნ ბრძანება;**
4. ,,საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის შემცველების ზღვრულად დასაშვები ნორმების, მათი გაზომვისა და რეგულირების წესების და თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის ადგილებში, რეკლამაზე, ბლოკებსა და კოლოფებზე მისათითებელი სამედიცინო გაფრთხილებების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2009 წლის 27 მარტის №122/ნ ბრძანება;**
5. ,,სამკურნალო საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფის რეგლამენტაციის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2002 წლის 3 მაისის ბრძანება №141/ნ;**
6. „აფთიაქის (სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტის) და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტის სანიტარიულ-ჰიგიენურ/ტექნიკური პირობების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2009 წლის 24 ნოემბრის №387/ნ ბრძანება;**
7. „ავტორიზებულ აფთიაქსა და აფთიაქში (სპეციალიზებულ სავაჭრო ობიექტში) ორიგინალური შეფუთვის დაშლისა და დაფასოების გზით, პაციენტის ინდივიდუალური საჭიროებისათვის შესაბამისი ოდენობით, ფარმაცევტული პროდუქტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2013 წლის 4 თებერვლის №01-4/ნ ბრძანება;**
8. „საქართველოს ბაზარზე ფარმაცევტული პროდუქტის სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით დაშვებული ფარმაცევტული პროდუქტის მარკირებისადმი წაყენებული მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2009 წლის 20 ოქტომბერის №337/ნ ბრძანება;**
9. ,,ფარმაცევტულ, სამედიცინო, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, საექსპერტო-დიაგნოსტიკურ და საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიაში, ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ლეგალური ბრუნვის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2003 წლის 21 ივლისის №150/ნ ბრძანება;**
10. ,,საკვებდანამატების გამოყენების სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2001 წლის 16 აგვისტოს №311/ნ ბრძანება;**
11. ,,სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2001 წლის 16 აგვისტოს №301/ნ ბრძანება.**
12. ,,ჩამოსასხმელი სასმელი წყლის ხარისხისადმი წაყენებული სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2003 წლის 27 ნოემბრის №306/ნ ბრძანება;**

13. „განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების შენახვის პირობებისა და ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2001 წლის 16 აგვისტოს №303/ნ ბრძანება.**

**მუხლი 2**

დაევალოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სხვა დაინტერესებულ უწყებებთან ერთობლივად, განახორციელოს ამ დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული შესაბამისი აქტების ძირეული რევიზია/გადახედვა და შესაბამისი პროექტების წარმოდგენა, არაუგვიანეს 2014 წლის 1 ივლისისა.

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**